სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#15 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-8 მუხლის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება **2024 წლის 2 თებერვალს, 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:
   I. *აქციონერთა განახლებული შემადგენლობის დადასტურება, კაპიტალისა და აქციების / წილის ფლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამება;*
   II. *სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი წევრის არჩევაზე გადაწყვეტილების მიღება;*
   III. *კაპიტალის ცვლილება;*
   IV. *სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება;*
   V. *წესდების ცვლილება;*
   VI. *სსე-ს მიერ არაფულადი შენატანის ვალდებულების შესრულება;*
   VII. *აქციონერების მიერ შენატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.*

3. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2024 წლის 2 თებერვალი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
4. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
5. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - კაპიტალის ცვლილების შესახებ წინადადება;
   - სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი;
   - წესდების პროექტი.
6. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე დაუყოვნებლივ.

Irakli Galdava

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2024.02.01 18:03:18 +04'00'

გადაწყვეტილება მიღებულია 1.02.2024

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი (მ.შ.)

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა “ (სენბი)
წლიური საერთო კრების ოქმი #15/2024 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) (საზოგადოება) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-8 მუხლის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

გენერალური დირექტორი (მ.შ.) საერთო კრებას წარუდგენს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისი საფუძვლების მითითებით, გამომდინარე კანონის 190-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნიდან.

დღის წესრიგი:

1. *აქციონერთა განახლებული შემადგენლობის დადასტურება, კაპიტალისა და აქციების / წილის ფლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამება;*
2. *სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი წევრის არჩევაზე გადაწყვეტილების მიღება;*
3. *კაპიტალის ცვლილება;*
4. *სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება;*
5. *წესდების ცვლილება;*
6. *სსე-ს მიერ არაფულადი შენატანის ვალდებულების შესრულება;*
7. *აქციონერების მიერ შენატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.*

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

საკითხი #1 აქციონერთა განახლებული შემადგენლობის დადასტურება, კაპიტალისა და აქციების / წილის ფლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამება;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (სამინისტრო) 2023 წლის 25 დეკემბრის #1-1/526 ბრძანების, ასევე სამინისტროს 2023 წლის 26 დეკემბრის #1-24/12044 წერილის, საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის აქციონერები არიან: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“.

საკითხი #2: სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი წევრის არჩევაზე გადაწყვეტილების მიღება;

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის “თ” ქვეპუნქტის, ასევე საზოგადოების წესდების მე-14 მუხლის “თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ.

საკითხი #3 კაპიტალის ცვლილება;

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 184-ე მუხლის „ზ” ქვეპუნქტის, ასევე საზოგადოების წესდების მე-14 მუხლის „ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას კაპიტალის გაზრდის შესახებ. წარმოდგენილია შესაბამისი წინადადება.

საკითხი #4 და საკითხი #5 სადამფუძნებლო შეთანხმებისა და წესდების ცვლილება

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის 184-ე მუხლის “ა” და “ბ” ქვეპუნქტის, ასევე საზოგადოების წესდების მე-14 მუხლის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდება სადამფუძნებლო შეთანხმებისა და წესდების ახალი პროექტი.

საკითხი #6 სსე-ს მიერ არაფულადი შენატანის ვალდებულების შესრულება

წარმოდგენილია შენატანის განხორციელების ვალდებულებისა და ფაქტობრივი შენატანის შედარება.

საკითხი #7 აქციონერების მიერ შენატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აქციონერები შეჯერდნენ კრების ჩატარების მომენტამდე შენატანების განხორციელების ვალდებულების შესრულების ნაწილზე, ასევე, გაზრდილი კაპიტალის ფარგლებში, იმსჯელებენ შენატანების განხორციელების გეგმა - გრაფიკზე.